ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილის - ქეთევან სიხარულიძის ანგარიში, 2022 წლის ნოემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული საქმიანობის შესახებ, ამომრჩევლებთან (მოსახლეობასთან) შეხვედრის სხდომის

ოქმი

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 17 ნოემბერი 2023 წელი.

შეხვედრის ადგილი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი - მერიის სხდომათა დარბაზი.

შეხვედრას თვმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ირაკლი კუჭავა.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ზაალ მამალაძე;

სამანდტო, საპროცედურა საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - მარინე ბერაძე;

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე - ქეთევან სიხარულიძე;

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ვლადიმერ სიხარულიძე;

საკრებულოს წევრი - მანანა მინდაძე;

საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები;

მერიის წარმომადგენლები;

ორგანიზაცია „ქალები ქალებისთვის“ წარმომადგენლები;

სხვადასხვა სოფლის ქალთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლები;

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამასა და კონკურსში მონაწილე ქალები;

მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს წევრები, ახალგაზრდები;

მოქალაქეები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88- მუხლის თანახმად, საკრებულოს წევრმა, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე - ქეთევან სიხარულიძემ ამომრჩვლებს წარუდგინა 2022 წლის ნოემბრიდან დღეის მდგომარეობით დღემდე გაწეული მუშობის შესახებ.

აღნიშნა, რომ არის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, გენდერული საბჭოს წევრი. აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციის მუშაობაში, საკრებულოს მიერ მისაღები ნორმატიული აქტების პროექტების ინიცირებასა და მომზადებაში, მოქალაქეთა მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტაში. მუნიციპალიტეტის წინაშე მდგომი პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიებისას ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის მერიასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. აღნიშნა, რომ მომავალში მისი საქმიანობის ძირითადი გამოწვევა იქნება თვითმმართველობისა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმა. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური განვითარებისთვის ზრუნვა. ისაუბრა განვლილ პროცესში საკრებულოს მიერ მიღბულ მნიშვნელოვან ნორმატიულ და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებზე, განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ, სოფლის მხარდამჭერი პროგრამით განხორციელებულ პროექტებზე (ანგარიში თან ერთვის).

ირაკლი კუჭავამ მიმართა ქეთევან სიხარულიძეს: როცა მაჟორიტარი იყავით, „გურის ტბის“

პოპულარიზაციისთვის ბევრი რამ გაკეთდა. ამჟამად ხომ არ არის რეკრეაციულ ზონასთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტიკა?

ქეთევან სიხარულიძე: ამ ეტაპზე პრიორიტეტულია ბუკისციხის ნანგრევების კვლევის საკითხი.

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დადებითად.

ქეთევან სიხარულიძემ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს, საკრებულოს აპარატს თანამშრომლობისთვის.

სხდომის თვმჯდომარე